



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

464-01-2-202202151740



N 01/464

15/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ხათუნა სამნიძეს

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2022 წლის 27 იანვრის №709/3-87/22 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის №433/01; 08.02.2022) პასუხად გაცნობებთ, რომ რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთის (ჩუმათელეთი-არგვეთა) სამშენებლო სამუშაოები დაყოფილია 4 ლოტად: ჩუმათელეთი-ხევი (F1), ხევი-უბისა (F2), უბისა-შორაპანი (F3) და შორაპანი-არგვეთა (F4).

E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრულია მიმდინარე წელს. აღნიშნულ მონაკვეთზე მიმდინარეობს 3 გვირაბსა და 11 ხიდზე სამშენებლო სამუშაოები, ასევე ხორციელდება მიწის ექსკავაციის, საყრდენი რკინა-ბეტონის კედლების, წყალგამტარი რკინა-ბეტონის მილების და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

E-60 მაგისტრალის ხევი-უბისას (F2) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრულია მიმდინარე წელს. აღნიშნულ მონაკვეთზე მიმდინარეობს 17 გვირაბსა და 28 ხიდზე სამშენებლო სამუშაოები, 17 გვირაბიდან 4 გვირაბზე უკვე შესრულდა გვირაბის გაჭრის სამუშაოები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებით 2021 წლის სექტემბრის თვეში დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა 3 გვირაბი და 6 ხიდი, რაზეც გახსნილია სატრანსპორტო მოძრაობა. ასევე ხორციელდება მიწის ექსკავაციის, საყრდენი რკინა-ბეტონის კედლების, წყალგამტარი რკინა-ბეტონის მილების და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპანის (F3) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრულია მიმდინარე წელს. აღნიშნულ მონაკვეთზე მიმდინარეობს 18 გვირაბსა და 27 ხიდზე სამშენებლო სამუშაოები, 18 გვირაბიდან 8 გვირაბზე უკვე შესრულდა გვირაბის გაჭრის სამუშაოები. ასევე ხორციელდება მიწის ექსკავაციის, საყრდენი რკინა-ბეტონის კედლების, წყალგამტარი რკინა-ბეტონის მილების და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

E-60 მაგისტრალის შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრულია 2023 წელს. აღნიშნულ მონაკვეთზე მიმდინარეობს 10 გვირაბსა და 14 ხიდზე სამშენებლო სამუშაოები, ასევე ხორციელდება მიწის ექსკავაციის, წყალგამტარი რკინა-ბეტონის მილების და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

პატივისცემით,

კობა გაბუნია

მინისტრის მოადგილე





709/3-87/22 2 27012022

709/3-87/22

27-01-2022

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის

საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ჩემთვის ცნობილია, რომ ე. წ. რიკოთის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა ოთხ ლოტად არის გაყოფილი (ჩუმათელეთი - ხევი, ხევი - უბისა, უბისა - შორაპანი, შორაპანი - არგვეთა).
- გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები და მოცემული მომენტისთვის შესრულებული სამუშაოები.

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია

მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით

გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე